# Wizz MultiPass — წესები და პირობები

Wizz MultiPass-ის გამოსაწერად უნდა გამოხატოთ თანხმობა ამ წესებსა და პირობებზე. გარდა ამისა, თქვენ გამოხატავთ ცალსახა თანხმობას, რომ მიიღეთ ინფორმაცია ამ წესებისა და პირობების სპეციალურ პირობებზე (მოცემულია *დახრილი ასოებით* ქვემოთ) და ცალსახად ეთანხმებით ამ სპეციალურ პირობებს. Wizz MultiPass არის სერვისი, რომელსაც უზრუნველყოფს:

**Wizz Air Hungary Ltd.-ის**

(იურიდიული მისამართი: H-1103 Budapest, Kőér street 2/A, Building B, Floors II-V Hungary; დაკავშირებულ შეთანხმებაში ის მოიხსენიება, როგორც „Wizz Air Hungary“)

და

**Wizz Air UK Limited**

(იურიდიული მისამართი: Main Terminal Building, London Luton Airport, Luton, LU2 9LY, United Kingdom; დაკავშირებულ შეთანხმებაში ის მოიხსენიება, როგორც „Wizz Air UK“)

და

**Wizz Air Malta Limited**

(იურიდიული მისამართი: 171, Old Bakery Street, Valetta VLT-1455, Malta).

და

**Wizz Air Abu Dhabi Limited**

(იურიდიული მისამართი: Business Park 01, Plot P6, Office number 208, Abu Dhabi International Airport, Abu Dhabi, United Arab Emirates)

Wizz Air Hungary, Wizz Air UK, Wizz Air Malta და Wizz Air Abu Dhabi შემდგომში ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „**Wizz Air**“.

**ინტერპრეტაცია**

1.1 Wizz Air-ის ტრანსპორტირების ზოგად პირობებში **(GCC)** განსაზღვრულ ტერმინებსა და გამოთქმებს იგივე მნიშვნელობა აქვს წინამდებარე წესებსა და პირობებში (**TC**), თუ ქვემოთ არ არის მითითებული.

1.2 GCC-სა და TC-ს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება TC-ს დებულებებს.

## 2 განმარტებები

**აპი**: Wizz Air-ის მობილური აპლიკაცია, რომელიც დაკავშირებულია ვებსაიტთან და იმართება Wizz Air-ის მიერ ან მისთვის და სადაც შესაძლებელია ჯავშნების გაფორმება.

**თვე**: მიუთითებს კალენდარულ თვეებზე.

**გამომწერი** ან **თქვენ**: ფიზიკური პირი, რომელიც დასახელებულია Wizz MultiPass-ის წევრად გამოწერის პერიოდში და რომელმაც გამოიწერა Wizz MultiPass.

**გამოწერის ციკლი**: ატარებს მნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრულია პუნქტში 3.3.



DC1-Internal Data

**გამოწერის მოსაკრებელი:** ატარებს მნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრულია პუნქტში 3.3.

**გამოწერის პერიოდი**: ატარებს მნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრულია პუნქტში 3.2.

**ტოკენი:** ატარებს მნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრულია პუნქტში 4.2. ინფორმაცია იმ ტოკენების რაოდენობის შესახებ, რომლებსაც გამომწერი იღებს გამოწერის პერიოდში, მოცემულია პუნქტში 5.2.

**ვებსაიტი:** https://multipass.wizzair.com

**Wizz Air**: Wizz Air-ის ყველა სუბიექტი, მათ შორის, Wizz Air Hungary Ltd, Wizz Air UK Ltd, Wizz Air Malta Ltd, Wizz Air Abu Dhabi LLC ან Wizz Air-ის ნებისმიერი სხვა სუბიექტი, რომელიც ასრულებს თქვენ მიერ გამომწერის სტატუსით დაჯავშნილ ავიარეისს.

## 3 გამოწერა

3.1 Wizz MultiPass არის გამოწერის 6-თვიანი გეგმა, რომელიც გამომწერებს საშუალებას აძლევს, იმგზავრონ ყოველთვე Wizz Air-ის შესაბამის რეისებზე ყოველთვიური ფიქსირებული გადასახადის სანაცვლოდ, ყველა მოსაკრებლისა და დამატებითი გადასახადის ჩათვლით, TC-ს შესაბამისად. კერძოდ, გამომწერები გამოწერის მოსაკრებლის სანაცვლოდ იღებენ ტოკენ(ებ)ს, რომელთა გამოყენებითაც მათ შეუძლიათ დაჯავშნონ ავიარეის(ებ)ი TC-ს შესაბამისად. Wizz MultiPass-ის გამოწერა შეგიძლიათ ვებსაიტზე Wizz MultiPass-ის შესაფერისი გეგმის არჩევითა და ამ TC-ზე დათანხმებით. Wizz MultiPass-ის გამოსაწერად Wizz Air-ს უნდა აცნობოთ თქვენი სახელი და გვარი, სქესი, ქვეყნის კოდი, მობილური ტელეფონის ნომერი, ელფოსტის მისამართი და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქე ხართ, ან შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი მიმდინარე Wizz ანგარიში.

3.2 Wizz MultiPass-ის გამოწერა შეგიძლიათ სავალდებულო 6-თვიანი პერიოდით (**გამოწერის პერიოდი**). Wizz MultiPass-ის გამოწერის პერიოდში თქვენი ცალსახა თანხმობის შემდეგ Wizz MultiPass ავტომატურად განახლდება გამოწერის ყოველი პერიოდის დასასრულს და გადავა გამოწერის მომდევნო პერიოდზე (ექვსი თვე), თუ Wizz MultiPass-ს მოქმედება არ შეუწყდება, როგორც ამას განსაზღვრავს პუნქტი 8 ქვემოთ.

3.3 გამოწერის მოსაკრებელი (**გამოწერის მოსაკრებელი**) ჩამოგეჭრებათ გამოწერის მთელი პერიოდის განმავლობაში (6 თვე), თუმცა გამოწერის მოსაკრებლის გადახდა ხდება გამოწერის ციკლის მიხედვით, როგორც ამას განსაზღვრავს პუნქტი 4.4 (**გამოწერის ციკლი**). გამოწერის ციკლის დაწყება შეგიძლიათ აირჩიოთ ქვემოთ მოცემულის შესაბამისად. გამოწერის ციკლის დასაწყისი, შესაძლოა, იყოს:

(a) გამოწერის დღე, თუ თვის პირველ რიცხვში გამოიწერეთ

(b) თუ თვის პირველ დღეს არ გამოიწერთ — გამოწერის დღე, თუ აირჩევთ ცალმხრივი ან ორმხრივი ავიარეისის დაჯავშნის ვარიანტს გამოწერის თვეში მე-5 პუნქტის შესაბამისად, ან

(c) თუ არ გამოიწერთ თვის პირველ დღეს — გამოწერის შემდეგი თვის პირველი დღე.

## 4 გადახდა



DC1-Internal Data

4.1 თქვენ ჩამოგეჭრებათ გამოწერის მოსაკრებელი გამოწერის თითოეული ციკლისთვის გამოწერის შესაბამისი ციკლის ბოლოს (ანუ შემდეგი თვის 1-ელ დღეს) გადახდის იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც აირჩიეთ Wizz MultiPass-ის გამოწერისას. გადახდის ხელმისაწვდომი მეთოდია საკრედიტო ბარათი. გამოწერის მოსაკრებელი განსაზღვრულია ვებსაიტზე https://multipass.wizzair.com. გამოწერის მოსაკრებლის ოდენობა (რომელიც გამოქვეყნებულია ვებსაიტზე), შესაძლოა, დროდადრო შეიცვალოს და გამოქვეყნდება ვებსაიტზე. გამოწერის მოსაკრებლის ოდენობის შეცვლის შემთხვევაში, შეცვლილი ოდენობა შეეხება მხოლოდ გამოწერის მომდევნო პერიოდს. ასეთ შემთხვევაში გამომწერი ცალსახად უნდა დაეთანხმოს გამოწერის შეცვლილ მოსაკრებელს გამოწერის მომდევნო პერიოდისთვის.

4.2 გამოწერის თითოეული ციკლის პირველ დღეს წარმატებული გადახდის დადასტურების შემდეგ თქვენ მიიღებთ ელექტრონულ ტოკენებს (**ტოკენები**). ტოკენების მიღების შემდეგ მათი გამოყენება შეგიძლიათ გამოწერის ციკლის ფარგლებში ავიარეისების დასაჯავშნად, როგორც ამას დეტალურად განმარტავს პუნქტი 5.

4.3 თუ Wizz Air ვერ დაამუშავებს თქვენ მიერ შესრულებულ გადახდას, Wizz Air გთხოვთ, აირჩიოთ გადახდის სხვა მეთოდი. გადახდის დამუშავებამდე ტოკენებს ვერ გამოიყენებთ, Wizz MultiPass-ის თქვენი გამოწერა კი შეჩერდება, რის შესახებაც გეცნობებათ და მოგეთხოვებათ გადახდის ალტერნატიული მეთოდის წარმოდგენა. მოქმედების შეჩერება არ ნიშნავს, რომ არ გევალებათ გამოწერის მოსაკრებლის გადახდა გამოწერის მომდევნო ციკლში, ასევე, გამოწერის წინა ციკლისთვის, გადაუხდელობის შემთხვევაში. თუ გადახდის დამუშავების მცდელობა (გადახდის ალტერნატიული მეთოდითაც) არ მოგვცემს გამოწერის მოსაკრებლის გადახდის შედეგს გამოწერის რომელიმე ციკლისთვის, Wizz Air იტოვებს უფლებას, შეგიწყვიტოთ Wizz MultiPass. სიტუაცია რომ მოაგვაროთ, Wizz Air წინასწარ გაცნობებთ Wizz MultiPass-ის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

4.4 გამოწერის ციკლი გრძელდება ერთი თვე და იწყება თვის პირველ რიცხვში გარდა იმ შემთხვევისა, რომელსაც ითვალისწინებს ზემოთ მოცემული პუნქტი 3.3 (b), რომლის მიხედვითაც გამოწერის პირველი ციკლი ერთ თვეზე ნაკლებ ხანს გრძელდება (ანუ ის იწყება არა თვის პირველ რიცხვში, არამედ თვის განმავლობაში და სრულდება იმ თვის ბოლოს, რომელშიც გამომწერმა გამოიწერა Wizz MultiPass). გამოწერა მოიცავს ყოველთვეს გამოწერის მთელ პერიოდში.

## 5 პრივილეგიები

5.1 WIZZ MultiPass-ის გამოწერის მეშვეობით გამოწერის პერიოდში, გამოწერის ყოველ ციკლში, თქვენ შეგიძლიათ დაჯავშნოთ ცალმხრივი ან ორმხრივი ავიარეისი, რომელიც ხელმისაწვდომია ვებსაიტის ან აპის მგზავრობის გეგმაში, თუ ჯავშანი გაფორმდება გამგზავრებამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე. გაითვალისწინეთ, რომ გამომწერებისთვის ხელმისაწვდომია კრიტერიუმების შესაბამისი რეისების შეზღუდული რაოდენობა. დამატებითი დეტალებისთვის გაეცანით ქვემოთ მოცემულ პუნქტს 6.3.

5.2 ნებისმიერ დროს, გათიშვის იმ პერიოდების გარდა, რომლებიც მითითებულია ქვემოთ მოცემულ მე-6 პუნქტში, ერთი ტოკენი საშუალებას გაძლევთ, დაჯავშნოთ ერთი ცალმხრივი ავიარეისი, მეორე ტოკენი კი საშუალებას გაძლევთ, დაჯავშნოთ უკანა რეისი (კრიტერიუმების შესაბამისი რეისების გასაცნობად იხილეთ პუნქტი 5.3 ქვემოთ). გამოწერის თითოეულ ციკლში თქვენ მიერ



DC1-Internal Data

მიღებული ტოკენების რაოდენობა დამოკიდებული იქნება Wizz MultiPass-ის გამოწერისას თქვენ მიერ არჩეულ გეგმაზე. ცალმხრივი გეგმების შემთხვევაში თქვენ მიიღებთ 1 ტოკენს, ორმხრივი ავიარეისების გეგმის შემთხვევაში კი მიიღებთ 2 ტოკენს. საჭირო ინფორმაცია მოგეწოდებათ Wizz MultiPass-ის გამოწერის პერიოდში.

5.3 ცალმხრივი ან ორმხრივი რეისი შეიძლება მოიცავდეს ავიარეის(ებ)ს

(a) იტალიის შესაბამისი აეროპორტიდან იტალიის სხვა შესაბამისი აეროპორტის მიმართულებით,
(b) პოლონეთის შესაბამისი აეროპორტიდან ქსელში არსებული ნებისმიერი შესაბამისი აეროპორტის მიმართულებით, ან
(c) ქსელში არსებული ნებისმიერი შესაბამისი აეროპორტიდან პოლონეთის ნებისმიერი შესაბამისი აეროპორტის მიმართულებით.

5.4 Wizz MultiPass საშუალებას გაძლევთ, მგზავრობისთვის დამატებით აირჩიოთ

(a) სალონში ასატანი უფასო ხელბარგი (40 × 30 × 20 სმ), რომელიც უნდა მოთავსდეს სავარძლის ქვეშ; და
(b) WIZZ Priority; ან
(c) 20 კგ-იანი რეგისტრირებული ბარგი; ან
(d) WIZZ Priority და 20 კგ-იანი რეგისტრირებული ბარგი.

5.5 გამოწერის შემდეგ შეძლებთ აირჩიოთ პუნქტში 5.4 ჩამოთვლილი ვარიანტებიდან ერთ-ერთი. არჩეული ვარიანტის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ არსებული გეგმის გაფართოების შემთხვევაში, გამოწერის პერიოდში.

(a) სალონში ასატანი უფასო ხელბარგი (40 × 30 × 20 სმ), რომელიც უნდა მოთავსდეს სავარძლის ქვეშ; და WIZZ Priority
(b) სალონში ასატანი უფასო ხელბარგი (40 × 30 × 20 სმ), რომელიც უნდა მოთავსდეს სავარძლის ქვეშ, და 20 კგ-იანი რეგისტრირებული ბარგი.

(c) სალონში ასატანი უფასო ხელბარგი (40 × 30 × 20 სმ), რომელიც უნდა მოთავსდეს სავარძლის ქვეშ; WIZZ Priority და 20 კგ-იანი რეგისტრირებული ბარგი.

## 6 შეზღუდვები და ლიმიტები

6.1 მე-5 პუნქტში აღნიშნულის მიუხედავად, არ შეგიძლიათ დაჯავშნოთ ავიარეისი, რომლის გამგზავრების ან/და ჩაფრენის დრო არის (ანუ ეს პერიოდები გამონაკლისია და არ ექვემდებარება ზემოთმოცემულ მე-5 პუნქტში განსაზღვრულ ზოგად წესს, შესაბამისად, მათ არ ეხება Wizz MultiPass-ის პრივილეგია)

(a) 5 იანვრიდან 8 იანვრამდე პერიოდში,
(b) 28 მარტიდან 2 აპრილამდე პერიოდში,
(c) 23 დეკემბრიდან 26 დეკემბრამდე პერიოდში, ან
(d) 31 დეკემბერს.

6.2 გამოწერის ერთ ან მეტ ციკლში გამოუყენებელი ტოკენების დაგროვება არ შეგიძლიათ. სურვილისამებრ, შეგიძლიათ აირჩიოთ ცალმხრივი გეგმა ან ორმხრივი ავიარეისების გეგმა, როგორც ამას ითვალისწინებს პუნქტი 5.2. ორმხრივი ავიარეისების გეგმის არჩევის შემთხვევაში, უნდა აირჩიოთ საწყისი და დანიშნულების პუნქტები. თუ ორმხრივი ავიარეისების გეგმის გამოყენებით

ავიაბილეთს ცალმხრივი მგზავრობისთვის და ჯავშნით, დარჩენილი ტოკენი გამოუყენებლად ჩაითვლება და მისითვერ ისარგებლებთ.

6.3 გამოუყენებელი ტოკენები თქვენი ანგარიშიდან წაიშლება გამოწერის თითოეული ციკლის ბოლოს და განახლებული გამოწერის მოსაკრებლის გადახდის შემდეგ მოგენიჭებათ ახალი ტოკენები.

6.4 ვერ შეძლებთ დაჯავშნოთ ავიარეისი, რომლის შემთხვევაშიც თქვენი ჯავშნის გამო Wizz MultiPass-ის მფლობელი მგზავრების რაოდენობა გადააჭარბებდა

(a) <u>20%-ს</u> პუნქტში 5.3 (a) გათვალისწინებული რეისების შემთხვევაში ან
(b) <u>15%-ს</u> პუნქტში 5.3 (b)-(c) გათვალისწინებული რეისების შემთხვევაში.

6.5 გამგზავრებამდე შესაძლებელია დამატებითი სერვისების შეძენა და მათი დამატება შესაბამისი ავიარეისის ჯავშანში ყველა იმ სხვა წესის გათვალისწინებით, რომელიც ვრცელდება აღნიშნულ რეისზე. Wizz MultiPass არ ფარავს ასეთი სერვისების საფასურს.

## 7 გაუქმება და თანხის დაბრუნება, შეწყვეტა

7.1 თქვენ შეგიძლიათ Wizz MultiPass-ის გაუქმება საფუძვლის გარეშე გამოწერის თარიღიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. გაუქმების უფლება უნდა გამოიხატოს Wizz Air-ისთვის გაუქმების განცხადების გაგზავნით multipass@wizzair.com-ზე. გაუქმების ვადის დაცვის მიზნით საკმარისია, შეგვატყობინოთ გაუქმების თქვენი უფლებით სარგებლობის შესახებ, სანამ გაუქმების პერიოდი ამოიწურება. ამ მხრივ საჭირო ცნობების მარტივად წარსადგენად აცნობეთ Wizz Air-ს გამოწერის თარიღი და თქვენი სახელი, გაუქმების უფლებით რომ ისარგებლოთ. Wizz Air დაყოვნების გარეშე და, ნებისმიერ შემთხვევაში, არაუგვიანეს 3 დღის განმავლობაში დაადასტურებს გაუქმების შესახებ თქვენს განცხადებას. Wizz MultiPass-თან დაკავშირებული ხელშეკრულების გაუქმების მიზნით, თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ გაუქმების შემდეგი ფორმა, თუმცა ეს არ არის სავალდებულო:

- ყურადღება: Wizz Air [მიუთითეთ საფოსტო მისამართი, ელფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი]

ვაუქმებ ხელშეკრულებას, რომელიც Wizz MultiPass-ის გამოსაწერად გავაფორმე:

— ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: ........

— გამომწერის სახელი და გვარი: ........

— გამომწერის მისამართი: ........

— გამომწერის ხელმოწერა (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არაელექტრონული დიგზავნება)

— თარიღი

7.2 გაუქმების შემდეგ Wizz Air უსაფუძვლო დაყოვნების გარეშე და გაუქმების განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 14 დღის ფარგლებში დაგიბრუნებთ თქვენგან მიღებულ ყველა თანხას იმ შემთხვევების გარდა, რომლებსაც ითვალისწინებს პუნქტები 7.3 (a)-(b) ქვემოთ.



DC1-Internal Data

7.3 *თუ Wizz MultiPass-ს გააუქმებთ იმ ტოკენის გამოყენების შემდეგ, რომელიც მოგენიჭათ გამოწერის ციკლში, Wizz Air გამოთვლის დასაბრუნებელი თანხის ოდენობას გამოწერის მოსაკრებლისა და იმ ავიაბილეთის ზოგადი ფასის საფუძველზე, რომელიც აღნიშნული ტოკენით დაჯავშნეთ. ავიაბილეთის ზოგადი ფასი გულისხმობს ფასს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა თქვენთვის Wizz MultiPass-ის გარეშე. თუ ავიარეისის ფასი*

(a) *გადააჭარბებს გამოწერის მოსაკრებელს, Wizz Air გამოწერის მოსაკრებელს არ დაგიბრუნებთ;*

(b) *გამოწერის მოსაკრებელზე ნაკლები იქნება, Wizz Air დაგიბრუნებთ ავიაბილეთის ფასსა და გამოწერის მოსაკრებელს შორის არსებულ სხვაობას.*

7.4 Wizz Air თანხას დაგიბრუნებთ გადახდის იმ მეთოდის მეშვეობით, რომელიც Wizz MultiPass-ის გამოსაწერად გამოიყენეთ, როგორც ამას ითვალისწინებს ზემოთ მოცემული პუნქტი 4.1.

7.5 Wizz MultiPass-ის გამოწერის შეწყვეტა შეუძლებელია გამოწერის სავალდებულო პერიოდში. თქვენ შეგიძლიათ გააუქმოთ Wizz MultiPass-ის გამოწერა გამოწერის მიმდინარე პერიოდში, რა შემთხვევაშიც Wizz MultiPass-ის გამოწერა გაუქმდება გამოწერის სავალდებულო პერიოდის დასრულების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში Wizz MultiPass-ის გამოწერა არ განახლდება გამოწერის მომდევნო პერიოდში. Wizz MultiPass-ის გამოწერის გასაუქმებლად იპოვეთ კომპეტენტური საინფორმაციო ცენტრი აქ, სექციაში „არსებული ჯავშნები“: [https://wizzair.com/en-gb/information-and-services/contact/contact-us](https://wizzair.com/en-gb/information-and-services/contact/contact-us).

7.6 Wizz Air-ს ნებისმიერ დროს შეუძლია შეგიწყვიტოთ წევრობა თქვენთვის წერილობითი შეტყობინების გამოგზავნით, თუ Wizz Air ვერ შეასრულებს თავის მოვალეობებს ან/და ვერ ისარგებლებს თავისი უფლებებით ამ წესებისა და პირობების კონტექსტში.

7.7 Wizz Air-მა, შესაძლოა, შეწყვიტოს Wizz MultiPass-ის შემოთავაზება ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში. თუ Wizz Air ასე მოიქცევა, Wizz MultiPass-ის გამოწერა თქვენთვის იმოქმედებს გამოწერის მიმდინარე პერიოდის დასრულებამდე და არ გაგრძელდება გამოწერის მომდევნო პერიოდში.

## 8 პერსონალური მონაცემების დამუშავება

8.1 Wizz MultiPass-ის გამოწერით ეთანხმებით, რომ გამოიყენებოდეს Wizz Air-ის შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით.

## 9 სხვადასხვა

9.1 Wizz Air-ის ყველა სახის წახალისება, ტარიფი თუ სხვა სპეციალური შემოთავაზებები ექვემდებარება კონკრეტული შემოთავაზების წესებსა და პირობებს. თუ სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული Wizz Air-ის მიერ, Wizz MultiPass-ის პრივილეგიები ვერ გაერთიანდება Wizz Air-ის სხვა შემოთავაზებებთან.

9.2 Wizz MultiPass მოიცავს პერსონალურ და არაგადაცემად სერვისებს, რომლებიც ვერ მიენიჭება რომელიმე მესამე მხარეს და ვერც სხვა მხრივ გასხვისდება. დაუშვებელია, რომ თქვენ ან მესამე მხარემ სხვებს შესთავაზოთ Wizz MultiPass-ის ფარგლებში დაჯავშნილი ავიაბილეთები ან/და სერვისები კომერციული მიზნებისთვის, მათ შორის (თუმცა ამით არ შემოიფარგლება), ინტერნეტ-აუქციონების ან ვებ-ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სხვა პლატფორმების მეშვეობით.



DC1-Internal Data

9.3 Wizz MultiPass-ის გამოწერისას უნდა მიუთითოთ ზუსტი და უტყუარი პერსონალური მონაცემები და მზად უნდა გქონდეთ ისინი Wizz MultiPass-ის გამოყენებისას. თუ ამ მოთხოვნას არ შეასრულებთ, Wizz Air იტოვებს უფლებას, დაუყოვნებლივ შეგიწყვიტოთ Wizz MultiPass-ის წევრობა.

9.4 Wizz Air იტოვებs უფლებას, ცალმხრივად შეიტანოs შესწორებები ამ TC-ში ნებისმიერ დროს, რისთვისაც ვებსაიტზე გამოაქვეყნებს ჩასწორებულ TC-ს. თუ აქ სხვაგვარად არ არის მითითებული, ვებსაიტზე გაფორმებულ ჯავშნებსა თუ შეძენილ სერვისებზე ვრცელდება რეისის შემსრულებელი Wizz Air-ის სუბიექტის GCC.

(a) Wizz Air Hungary Ltd.-ის

(b) Wizz Air UK Limited

(c) Wizz Air Malta Limited

(d) Wizz Air Abu Dhabi Limited

9.5 TC Wizz Air-ის GCC-ში განსაზღვრული კანონებს ექვემდებარება და მის მიხედვით განიმარტება. Wizz Air-სა და თქვენ შორის ნებისმიერი დავა, რომელიც გამოწვეულია TC-თი ან მას უკავშირდება რაიმე ფორმით, დაექვემდებარება Wizz Air-ის GCC-ში განსაზღვრულ იურისდიქციას.



DC1-Internal Data